

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2019 - 2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხარისხის მართვის 2019–2022 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება კოლეჯის მისიას, SWOT ანალიზსა და კოლეჯის შვიდწლიან (2018–2025წწ..) სტრატეგიულ გეგმას. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ასევე განმსაზღვრელ როლს თამაშობს მიმდინარე პერიოდში შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები და რეფორმები პროფესიული განათლების სფეროში.

ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ობიექტურად შეფასდა კოლეჯის არსებული მდგომარეობა, გამოწვევები, შესაძლებლობები და რესურსები. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის გაცხადებული მისიიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განისაზღვრა დაწესებულების ხარისხის მართვის სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

1. მისია

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებულ, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

2. პრიორიტეტები

- პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები და ხარისხის უზრუნველყოფა;
- პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსები.

➤ მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები და ხარისხის უზრუნველყოფა

ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებული ამოცანები

ამოცანა	შესასრულებელი მოქმედება	შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი	შესრულების პერიოდი	მტკიცებულება	მოსალოდნელი შედეგი	რისკები
ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით) დამატება (მათ შორის: „ციფრული ხელოვნება“ (გრაფიკული დიზაინის შესრულება), „ციფრული ხელოვნება“ (ინდუსტრიული დიზაინის შესრულება), „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალიზირებული ავტოსატრანსპორტის სერვისი“, „მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი“ და ა.შ.)	ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი	2019-2022 წწ.	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება	შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების დანერგვა, საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე ცნობადობის გაზრდა	გარე ფაქტორები, პროგრამის აქტუალობის ცვალებადობა
პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიცირება	ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებთან ერთად სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის შემოწმება.	ხარისხის მართვის მენეჯერი, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები	პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიცირება სამემოდგომო და საგაზაფხულო მიღების გამოცხადებამდე 1 თვით ადრე, მსმენელის შეფასების სისტემის ვერიფიცირება - პროგრამის დასრულებამდე	შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკავშირებული ანგარიშები	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების სისტემის გაუმჯობესება	გარე ფაქტორები
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მოდიფიცირება	სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სწავლის შედეგების შეფასების ინოვაციური და ვალიდური ინსტრუმენტებისა და ინდიკატორების დანერგვა.	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები, განსახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები/ინსტრუქტორ მასწავლებლები	საჭიროების მიხედვით	ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში დირექტორის ბრძანება პროგრამის მოდიფიცირების შესახებ	თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამები	გარე ფაქტორები
მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის დანერგვა	ახალი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ამოქმედება.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	2019–2022 წწ.	ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის ანგარიში, დირექტორის ბრძანება პროგრამების ამოქმედების შესახებ	მრავალფეროვანი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები, ბაზარზე ცნობადობის გაზრდა	გარე ფაქტორები

<p>ხარისხის გარე მექანიზმების პარალელურად ხარისხის შიდა მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი შიდა მონიტორინგის (შეფასების ციკლური სისტემის) ამოქმედება</p>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადაზრდების პროგრამების მუდმივი შეფასება და ანალიზი.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადაზრდების პროგრამების შეფასებისა და სასწავლო პროცესის სათანადოდ განხორციელების მიზნით შესაბამისი კითხვარების მომზადება და გამოკითხვის ჩატარება.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.</p>	<p>ხარისხის მართვის მენეჯერი</p>	<p>თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადაზრდების პროგრამის მიმდინარეობისას</p> <p>6 თვეში ერთხელ</p>	<p>ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში</p>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადაზრდების პროგრამის განვითარება, მდგრადობა და შესაბამისობა შიდა და გარე მოთხოვნებთან</p>	<p>პროგრამის აქტუალობის ცვალებადობა</p>
--	---	----------------------------------	--	--	--	---

➤ მიზანი N 2 - პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელზე ორიენტირება და მათი მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება

ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებული ამოცანები

ამოცანა	შესასრულებელი მოქმედება	შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი	შესრულების პერიოდი	მტკიცებულება	მოსალოდნელი შედეგი	რისკები
<p>პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება</p>	<p>მჭიდრო კომუნიკაცია პოტენციურ დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციით დასაქმებასთან დაკავშირებით.</p> <p>დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა.</p>	<p>პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)</p>	<p>მუდმივი პროცესი</p>	<p>შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები</p>	<p>კვალიფიკაციით დასაქმებული პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და კურსდამთავრებულების გაზრდილი რაოდენობა</p>	<p>გარე ფაქტორები</p>
<p>პროფესიული სტუდენტისათვის /მსმენელისათვის კონსულტირების გაწევა და ინფორმირება</p>	<p>პროფესიული სტუდენტისათვის/ მსმენელისათვის სათანადო კონსულტაციის გაწევა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.</p> <p>გონივრულ ვადაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.</p>	<p>სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)</p>	<p>მუდმივი პროცესი</p>	<p>შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები</p>	<p>პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის საჭიროებების დადგენა</p>	<p>შიდა და გარე ფაქტორები</p>

პროფესიული სტუდენტისათვის/ მსმენელისათვის სხვადასხვა კულტურული და სპორტული სერვისების შეთავაზება	სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობების დაგეგმვა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობა.	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	საჭიროებისამებრ	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	განხორციელებული კულტურული და სპორტული აქტივობები, პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების ექსტრაკურსული აქტივობაში ჩართულობა	გარე და შიდა ფაქტორები
პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა (მ.შ. სსსმ და შშმ პირებისათვის)	სასწავლო განრიგის (ცხრილი) ხელმისაწვდომობა, სასწავლო გეგმებთან თანხვედრა, მეცადინეობის განრიგის დაცვა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის კონტროლი.	სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	მუდმივი პროცესი	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული სასწავლო გარემო	გარე ფაქტორები

➤ მიზანი N 3 - მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსები

ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებული ამოცანები

ამოცანა	შესასრულებელი მოქმედება	შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი	შესრულების პერიოდი	მტკიცებულება	მოსალოდნელი შედეგი	რისკები
პერსონალის პროფესიული ზრდის უზრუნველყოფილი სისტემის შექმნა	მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვა.	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	2019–2022 წწ.	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	მაღალკვალიფიციური პერსონალი, პერსონალის გადინების შემცირება	გარე ფაქტორები
	პერსონალის გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერსონალის მუშაობის შეფასებისა და წახალისების სისტემის დანერგვა.	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	2019–2022 წწ.	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	მაღალკვალიფიციური პერსონალი, პერსონალის გადინების შემცირება	პერსონალის არასათანადო მზაობა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის
	პერსონალის კმაყოფილების კვლევის განხორციელება.	ხარისხის მართვის მენეჯერი	2019–2022 წწ.	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	მაღალკვალიფიციური პერსონალი, პერსონალის გადინების შემცირება	უარი კვლევებში მონაწილეობაზე

➤ მიზანი N 4 - მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსები

ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებული ამოცანები

ამოცანა	შესასრულებელი მოქმედება	შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი	შესრულების პერიოდი	მტკიცებულება	მოსალოდნელი შედეგი	რისკები
მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების სრულყოფა	პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში საჭირო მატერიალური რესურსების სრულყოფა.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	საჭიროებისამებრ	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებულად დანერგვისა და განხორციელების მიზნით	გარე ფაქტორები
	ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის გამდიდრება.	დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	საჭიროებისამებრ	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	ბიბლიოთეკის სათანადო წიგნადი და ელექტრონული ფონდი	გარე ფაქტორები
	თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარება.	დირექტორის მოადგილე, ქსელის ადმინისტრატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	საჭიროებისამებრ	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	სრულყოფილი საინფორმაციო რესურსები პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებულად დანერგვისა და განხორციელების მიზნით	შიდა და გარე ფაქტორები
	ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის როგორც საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის როლის მქონე ინსტრუმენტის გამართულად ფუნქციონირება და ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლება.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ვებგვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მართვის მენეჯერი (შესასრულებელი მოქმედების მონიტორინგი და შეფასება)	საჭიროებისამებრ	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები	განართული და უახლესი ინფორმაციით დატვირთული ვებგვერდი და სოციალური ქსელი	შიდა და გარე ფაქტორები

3. სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგება

სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიშგება მოხდება სამოქმედო პერიოდის სრულად ამოწურვის შემდგომ, თუმცა, სამი წლის განმავლობაში გეგმით განსაზღვრული შესრულებული/ვერსესრულებული სამუშაოსა და ვადების გათვალისწინებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები მოახდენენ ეტაპობრივ ანგარიშგებას დირექტორის წინაშე, რის შემდეგაც მოხდება არსებული გეგმის კორექტირება/მოდიფიცირება და/ან ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.